ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 26 10

07/11/2017

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2017 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს ადიგენის მუნიციპალიტეტის 2017 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ.62).

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან ლობჯანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2017 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა:

1. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძველი პოლიციის შენობა (მიწის გარეშე) მდებარეობა დ. ადიგენი თორნიკე ერისთავის ქ.N32;
2. საკადასტრო კოდი: 61.05.21.161;
3. შენობის ფართობი: 597,4 კვ.მ.
4. სართულიანობა: 2.

ინდივიდუალური აუდიტი

გრიგოლ გორელიშვილი

ქ. ახალციხე

04 დეკემბერი 2017 წელი

ა უ დ ი ტ ო რ უ ლ ი დ ა ს კ ვ ნ ა № 85.

აუდიტორიული დასკვნა შედგენილია აუდიტორ გრიგოლ გორელიშვილის მიერ, რომელიც აუდიტორულ საქმიანობას ეწევა საქართველოს პარლამენტთან არსებულ აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ 2011 წლის 12 სექტემბერს გაცემული ზ. 06/016 სერტიფიკატისა და ზ№273 ლიცენზიის, ამასთანავე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 15.06.2017 წ. №520 ბრძანება, სარეგისტრაციო № SARAS-A560176 ის საფუძველზე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დ. ადიგენი ერისთავის ქ. № 32-ში მდებარე ყოფილი პოლიციის შენობის შეფასების შესახებ.

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის (მის: დ. ადიგენი თამარ მეფის ქ. №5 ს/ნ 222729162, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22; ა/ა) და ჩემი როგორც აუდიტის გრიგოლ გორელიშვილის ურთიერთშორის გაფორმებული ხელშეკრულება 2017წ 01 დეკემბრის N 141 -ის საფუძველზე შევამოწმე და შევაფასე ადიგენის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დ. ადიგენი ერისთავის ქ. № 32-ში მდებარე ყოფილი პოლიციის შენობის დემონტაჟის შედეგად მიღებული სამშენებლო მასალები

წინასწარი ანალიზის ეტაპზე მონაცემების შერჩევის და შეგროვებისას გავეცანით შესაფასებელი ქონების მდგომარეობას ვიზუალური დათვალიერების გზით, რომლის შედეგად დავადგინეთ, რომ: ყოფილი პოლიციის შენობა ფიზიკურად და მორალურად ამორტიზირებულია, კარ-ფანჯრები და სახურავი დაზიანებულია, განიცდის ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებას, რომელმაც გამოიწვია შენობის ნაადრევი დემონტაჟი. ობიექტის დემონტაჟის შემთხვევაში შესაძლებელია მიღებულ იქნას სასარგებლო ნარჩენების სახით: სამშენებლო მეორადი ბლოკი - 3000(სამიათასი) ლარი, საშეშე მასალა - 1800(ერთიათასრვაასი)ლარი, მეტალის ჯართი- 1200(ერთიათასორასი) ლარი, მეტალის მილები - სხვადასხვა ზომის - 600(ექვსასი) ლარი, სახურავის თუნუქი - 2400(ორიათასოთხასი)ლარი, ქვის კიბეები -200(ორასი) ლარი. სულ: 9200 (ცხრაათასორასი) ლარი.

მეორადი მასალების შეფასება მოხდა შედარებითი მეთოდის გამოყენებით, მსგავსი მეორადი სამშენებლო მასალების საექსპლოატაციო თვისებების მიხედვით, აგრეთვე რეგიონის სამომხმარებლო ბაზრის მარკეტინგული შესწავლის გზით მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ადიგენის ყოფილი პოლიციის შენობის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალების საექსპლოატაციო თვისებებიდან გამომდინარე მისი საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 9200 (ცხრაათასორასი) ლარით.

ზემოაღნიშნულ ფაქტორზე დაყრდნობით გამომაქვს

დ ა ს კ ვ ნ ა:

ამრიგად, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ადიგენის ყოფილი პოლიციის შენობის დემონტაჟის შემთხვევაში მიღებული მეორადი სხვადასხვა სამშენებლო მასალების საბაზრო ღირებულება 2017 წლის 04 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა 9200 (ცხრაათასორასი) ლარით.

ინდივიდუალური აუდიტი **გ. გორელიშვილი.**